



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 032/17<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თამარ პაპოშვილი (სტუდენტი)

### ფაქტები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა კლიენტმა, რომელმაც მოითხოვა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და მისთვის გადაცემული საადვოკატო მომსახურების ჰონორარის დაბრუნება. ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება ქალაქ მარტვილში ზეპირი სახით დადო კლიენტის დედასთან. ხელშეკრულების მიხედვით, ადვოკატს უნდა დაეცვა კლიენტის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე გორის რაიონულ სასამართლოში. შეთანხმების საგანს საადვოკატო მომსახურების საფასურის გარდა ასევე წარმოადგენდა სამგზავრო ხარჯების ანაზღაურება. ადვოკატი ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, რის გამოც სასამართლო სხდომა გადაიდო, ხოლო მომდევნო სხდომაზე ადვოკატი კვლავ არ გამოცხადდა. მოსამართლემ ადვოკატი დააჯარიმა 100 (ასი) ლარით და კლიენტს დაუნიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი. ადვოკატმა ბოლო სასამართლო პროცესზე წასვლა ვერ შეძლო, რადგან კლიენტის დედამ შეთანხმებული სამგზავრო ხარჯი ვერ გადასცა. აღნიშნულის შემდეგ ადვოკატმა შეწყვიტა კლიენტის მომსახურება.

### სამართლებრივი შეფასება

კლიენტის მიერ შეთანხმებით გათვალისწინებული ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში ადვოკატი უფლებამოსილია შეწყვიტოს კლიენტის მომსახურება იმ დათქმის გათვალისწინებით, რომ კლიენტი ადვოკატმა არ უნდა დატოვოს უძლიერ მდგომარეობაში, როდესაც იგი მოკლებულია შესაძლებლობას დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.9 მუხლი). აღნიშნული მუხლი ფართოდ უნდა იქნას განმარტებული და საქმეზე უარის თქმის უფლება ადვოკატისთვის ჰონორარის გადაუხდელობის გარდა, უნდა გავრცელდეს საქმის წარმოების ხარჯების გადაუხდელობის შემთხვევაზეც, თუ ადვოკატს კლიენტი წინასწარ ჰყავდა ინფორმირებული მოცემული ხარჯების გადახდის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში ფაქტებიდან დგინდება, რომ ადვოკატს კლიენტის დედამ, ხელშეკრულების მხარემ, არ გადაუხადა სასამართლო სხდომაზე მისასვლელი და საადვოკატო საქმიანობისათვის გადასახდელი ხარჯი. ადვოკატმა განუმარტა ეთიკის კომისიას, რომ მას არ გააჩნდა ფულადი სახსრები გორის რაიონულ სასამართლოში დანიშნულ ბოლო სხდომაზე გასამგზავრებლად. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში ადვოკატის მიერ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა ვერ ჩაითვლება არაეთიკურ ქმედებად.

კლიენტის მოთხოვნასთან მიმართებით, რომელიც შეეხება ადვოკატის მიერ მისი ინტერესების დაცვას სააპელაციო სასამართლოში, ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების საფუძველი არის ამის შესახებ გამოვლენილი თავისუფალი ორმხრივი ნება. ფაქტებიდან დგინდება, რომ ადვოკატთან შეთანხმების საგანი იყო კლიენტის ინტერესების დაცვა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. შეთანხმებისაგან განსხვავებული ქმედების შესრულება დამოკიდებულია ადვოკატის ნებაზე.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c471847bf2b9.pdf/5c471847bf2b9.pdf>

კლიენტის მეორე ალტერნატიულ მოთხოვნასთან მიმართებით, რომელიც შეეხება ადვოკატისათვის გადაცემული ჰონორარის დაბრუნებას, ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ მაშინ, როდესაც ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის 8.15 მუხლი). საპროცესო კოლეგიამ გამოითხოვა კლიენტის სისხლის სამართლის საქმის მასალები, საიდანაც დგინდება, რომ ადვოკატს მისი კლიენტის ინტერესებისათვის არაერთი იურიდიული სახის მოქმედება აქვს განხორციელებული, კერძოდ: ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო სასამართლო სხდომებში, არაერთხელ იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში კლიენტის მოსანახულებლად, მოამზადა ბრალდების მხარესთან საპროცესო შეთანხმების პროცესის წამოწყებისათვის განცხადებები. ამ ქმედებების საფუძველზე ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა მისთვის გადაცემული ჰონორარი სამართლიანად გამოიმუშავა.

### **დასკვნა**

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მხრიდან დარღვეულად არ მიიჩნია კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება და ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმა ეთიკურ ქმედებად შეაფასა.